ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 76

დ. სტეფანწმინდა 31 .07.2019 წელი

ერთის მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია , (შემდგომში ”შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი მერის ალექსანდრე ზაგაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს„პანორამა ყაზბეგი“ ,მისი დირექტორის შოთა წიკლაურის(შემდგომში მიმწოდებელი) სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ვ“ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად,ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, მაია ხუციშვილის მოხსენებითი ბარათის 24.07.2019 წლის N882 და 24.07. 2019 წლის ოქმი N6 -ის საფუძველზე , გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1”ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (შემდგომში ”ხელშეკრულება”) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ორი-შემსყიდველს.

1.2. ”ხელშეკრულების ღირებულება” - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების რული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. ”დღე” , ”კვირა”, ”თვე” - კალენდარული დღე, კვირა თვე.

1.4. ”შემსყიდველი” -ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ”მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. ”მომსახურება” - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების

საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, 24 ივლისს, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიაში, საქართველოს სამხედრო გზაზე სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გადაზიდვასთან დაკავშირებით გამართულშეხვედრაში, მონაწილე ოფიციალური პირებისათვის, სადილის ორგანიზება მერიის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან.
CPVკოდი: 55300000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 421,25 (ოთხას ოცდაერთი ლარი და 25 თეთრი)ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს საბოლოოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 1 0 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტს და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას.

5.3.მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხარისხიანი მომსახურება.

6. მომსახურების ვადა და ადგილი

6.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ყაზბეგის მუნიციპალიტეტი. დაბა სტეფანწმინდა.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს გაუწიოს ხარისხიანი მომსახურება

ბ) შემსყიდველს მომსახურება გაუწიოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანხმლები დოკუმენტაციის წარდგენა.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლი

8.1.ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი მაია ხუციშვილი.

8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლო სანაზღაურება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგადიზრდება ხ ელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულებისღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველიძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ანდა დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია	შ.პ.ს „პანორამა ყაზბეგი“
მისამართი;დ.სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქ. N2	მისამართი: ყაზბეგი გერგეტის უბანი
ს/კ241499473	ს. კ. 400206736
	მომსახურე ბანკი: სს თიბისი ბანკი
	ბანკის კოდი: TBCBGE22
	ა.ა. GE56TB76 834 36020100001
მერი ალექსანდრე ზაგაშვილი	დირექტორი შოთა წიკლაური
ხელმოწერა_____	ხელმოწერა_____